

გიორგი მეჭურჭლიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**თურქმანული ტომები გვიანი შუა საუკუნეების
აღმოსავლეთ საქართველოში:
დასახლებები, დემოგრაფია და პოლიტიკური ისტორია**

საკვანძო სიტყვები: გვიანი შუა საუკუნეები, საქართველოს აზერბაიჯანელები, თურქმანული ტომები, ბორჩაღუ, აღმოსავლეთ საქართველო

შესავალი

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურადღება საქართველოს აზერბაიჯანელთა თემის, მათი ისტორიისა და კულტურის მიმართ. აზერბაიჯანელები საქართველოში მცხოვრები ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირესობაა. 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, მათი რაოდენობა 230,000-ს აღემატება და ქვეყნის მოსახლეობის 6%-ზე მეტს შეადგენენ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური 2016, 8). გვიან შუა საუკუნეებში აზერბაიჯანელების წინაპარი თურქმანული¹ ტომების აღმოსავლეთ საქართველოში შემოსვლა და დამკვიდრება ხანგრძლივი და კომპლექსური პროცესი იყო. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული როგორც XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობასთან და ეთნო-დემოგრაფიულ ვითარებასთან, ისე იმ ძირეულ ცვლილებებთან, რომელიც ამ პერიოდში სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურმა რუკამ განიცადა.

XX-XXI საუკუნეებში ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ გადაიდგა ნაბიჯები საქართველოს აზერბაიჯანელთა წარსულის კვლევის მიმართულებით, თუმცა აღმოსავლეთ საქართველოს თურ-

1 ოღუზური მოდგმის თურქული ტომების კრებითი სახელი გვიან შუა საუკუნეებში (ყველა განმარტება სტატიაში გაკეთებულია ავტორის მიერ).

ქმანული ტომების ისტორია ჯერ კიდევ არაა ჯეროვნად შესწავლილი, ზოგიერთი ასპექტი კი ხედვის არის მიღმა დარჩენილი. დამატებით სირთულეებს ქმნის ცალკეული უზუსტობანი და გაურკვევლობები, რომლებიც კრიტიკულ განხილვას საჭიროებს.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია გვიან შუა საუკუნეებში თურქმანული ტომების საქართველოში შემოსვლის ეტაპებსა და მათი განსახლების არეალის ჩამოყალიბების პროცესებზე. შესწავლილია თურქმანული ტომების დემოგრაფიული ისტორია და ყოფითი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტი. გამოკვლეულია XVII–XVIII საუკუნეებში ქართულ სამეფოებზე მათი დამოკიდებულების ფორმები და განხილულია თურქმანული ტომების როლი ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ და სამხედრო ისტორიაში.

გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს აზერბაიჯანელთა წინაპარი თურქმანული ტომების ისტორიაზე მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტატიაში გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის მასალა. ამ ტომების საქართველოში შემოსვლის მიზეზების, ეტაპებისა და გარემოებების კვლევისას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა პირველადი წყაროების შესწავლას, გაანალიზებასა და კრიტიკულ განხილვას.

XVII–XVIII საუკუნეების ქართული საისტორიო ტექსტები სტატისათვის აქტუალური კუთხით დამუშავდა. ამ პერიოდის ქართველი ისტორიკოსები სხვადასხვა თურქმანული ტომის ქართლისა და კახეთის სამეფოებში მიგრაციის პროცესის უშუალო თვითმნიშვნელები იყვნენ. მათ მიერ დაცული ცნობები ხშირ შემთხვევაში დეტალურ ინფორმაციას შეიცავს იმ პოლიტიკურ მოვლენებზე, რომლებიც თურქმანების საქართველოში დამკვიდრებას უძღოდა წინ, აღწერს მათი შემოსვლის პროცესს, შემოსაზღვრავს ახალმოსულთა განსახლების არეალს და ასახავს მის ეტაპობრივ ცვლილებას. ასევე ქართული წყაროები მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის თურქმანების ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებებისა და განმასხვავებელი თვისებების შესახებ. ამავდროულად, სტატიაში გამოყენებულია უცხოური წყაროები, იქნება ეს საისტორიო თხზულებები თუ მოგზაურთა ჩანაწერები და წერილები. უცხოელ ავტორთა მიერ დაცული ცნობები ზოგიერთ შემთხვევაში უნიკალურ ინფორმაციას შეიცავს აღმოსავლეთ საქართველოში დაფუძნებული თურქმანული ტომების წარსულის, მათი საცხოვრისის ლოკალიზაციის, რაოდენობისა და მდგომარეობის შესახებ. სტატიაში დამუშავებული და კრიტიკულად განხილულია მათი ცნობები, გამოთქმულია შენიშვნები.

სტატიაში, გარდა ქართული და უცხოური საისტორიო წყარო-

ებისა, მოგზაურთა ჩანაწერებისა და წერილებისა, ყურადღება დაეთმო გვიანი შუა საუკუნეების სამართლის ძეგლებსა და დოკუმენტებს. ამ ტიპის პირველადი წყაროები ძვირფას ცნობებს გვაწვდის თურქმანების ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. ასევე გვიქმნის წარმოდგენას სამეფო კარის მიერ ახალმოსახლეთა მიმართ გატარებული პოლიტიკისა და დამოკიდებულების შესახებ. აღმოსავლეთ საქართველოს თურქმანული მოსახლეობის ისტორიის კვლევის პროცესში კრიტიკულად იქნა განხილული სხვადასხვა სტატისტიკური ცნობა და აღწერა. ეს დოკუმენტები გარკვეული ნაკლოვანებებისა და ხარვეზიანობის მიუხედავად, გვაძლევს საშუალებას, ყოველ კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე მეტ-ნაკლებად ზუსტად განვსაზღვროთ საქართველოს აზერბაიჯანელთა წინაპრების რაოდენობა და განსახლების გეოგრაფიული არეალი. სტატიაში დამუშავებული და განხილულია XVIII საუკუნის ქართული და ოსმალური აღწერები და სტატისტიკური ნუსხები. აქ დაცული ცნობები მნიშვნელოვანია თურქმანული ტომების ისტორიის კვლევისათვის და აგრეთვე, ძვირფასი წყაროა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ეთნო-დემოგრაფიული წარსულის შესახებ.

XVIII–XIX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს აზერბაიჯანელთა წინაპრების რაოდენობის დასაზუსტებლად, ასევე განსახლების არეალისა და კონფესიური კუთვნილების მაქსიმალურად ზუსტი რეკონსტრუქციისათვის სტატიაში გამოყენებულია XIX საუკუნეში რუსული იმპერიული ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული აღწერები. მათგან ზოგიერთი მნიშვნელოვან უზუსტობებს შეიცავს, თუმცა სტატიაში არის კონკრეტული მითითებები მათ შესახებ და ამ ფაქტორის გათვალისწინებით, განხილულია ამა თუ იმ სტატისტიკური ცნობის სანდოობა. ამავდროულად, დამოწმებულია XX საუკუნის ქართველ ისტორიკოსთა კვლევები ამ მიმართულებით და გამოთქმულია შეფასებები მათ შესახებ. ზემოხსენებული დოკუმენტების გაანალიზებისა და დამუშავების შემდეგ სტატიაში შეტანილია საყურადღებო ინფორმაცია XVIII საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოს ეთნო-დემოგრაფიული ისტორიისა და ამ პერიოდში მომხდარი რადიკალური ცვლილებების შესახებ. განსაზღვრულია თურქმანული მოსახლეობის რაოდენობა სხვადასხვა პერიოდში და ხვედრითი წილი როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს ფარგლებში, ისე დღევანდელი საქართველოს საზღვრებში.

საქართველოს აზერბაიჯანელთა წინაპარი თურქმანული ტომების, წარსულის მნიშვნელოვანი ასპექტია – მათი როლი XVIII საუკუნის საქართველოს სამხედრო ისტორიაში. სტატიაში ეს საკითხი დამუშავებული და განხილულია, დამოწმებულია რამდენიმე წყარო

და გაკეთებულია დასკვნები. ასევე გამახვილებულია ყურადღება საუკუნის მეორე ნახევარში, ქართლ-კახეთის ხელისუფლების მიერ, ახლადშემოერთებულ თურქმანულ თემებში გატარებული პოლიტიკის თავისებურებებსა და იქ ქართული სამოხელეო აპარატის განვრცობის პროცესზე.

სტატიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა XX–XXI საუკუნეების ავტორების შრომებს, მათ დამუშავებასა და განხილვას. გათვალისწინებული და გაზიარებულია გასულ საუკუნეში დაგროვილი ცოდნა საქართველოს აზერბაიჯანელთა წარსულის შესახებ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. ამავდროულად, გამოვლენილია XX საუკუნის მკვლევართა ხარვეზები, ცალკეული ანაქრონიზმები და უზუსტობები, ფაქტებზე დაყრდნობით გამოთქმულია კონკრეტული შენიშვნები. მრავალმხრივი პირველადი და მეორეული წყაროების მოძიების, გაცნობისა და გაანალიზების შედეგად სტატიაში შექმნილია ახალი ცოდნა გვიან შუა საუკუნეებში საქართველოში დამკვიდრებული თურქმანული ტომების ისტორიის სხვადასხვა ასპექტის შესახებ.

სელჯუკები აღმოსავლეთ საქართველოში (XI–XII სს.)

XI საუკუნეში შუა აზიიდან დასავლეთისკენ დაძრულმა ოღუზური² წარმოშობის სელჯუკებმა ირანი, შუამდინარეთი, სირია და პალესტინა დაიპყრეს, ხოლო ბიზანტიელთა დამარცხების შემდეგ მცირე აზიისკენაც გაიკაფეს გზა. იმავე საუკუნის მეორე ნახევარში ისინი სამხრეთ კავკასიაშიც შემოიჭრნენ და საქართველოს დაუმეზობლდნენ. მალევე, „დიდი თურქობის“³ სახელით ცნობილი მომთაბარე ტომების განუწყვეტელი შემოსევები დაიწყო. სამეფო კარის მცდელობა, შეეჩერებინა მათი თავდასხმები, წარუმატებლად დასრულდა. პრაქტიკულად მთელ წელს მომთაბარე ტომები საქართველოში ატარებდნენ, რასაც ქვეყნის აოხრება, სოფლის მეურნეობის შეწყვეტა და მოსახლეობის განადგურება მოჰყვებოდა. დასაზამთრებლად თურქული ტომები ივრისა და მტკვრის ნაპირებზე ინაცვლებდნენ (უცნობი მემოტიანი 1942, 206). სელჯუკების დამარცხება და მომთაბარე თურქული ტომების ქვეყნიდან განდევნა, დავით IV-ის სახელს უკავშირდება. მალევე სამეფოს სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვარმა ქართული მიწებიდან შორს გადაინაცვლა, სადაც მომდევნო ასწლეულის განმავლო-

2 თურქულ ენათა ოჯახის ერთ-ერთი ჯგუფის სახელწოდება. ამ ჯგუფში ერთიანდებიან აზერბაიჯანელები, ანატოლიელი და ბალკანელი თურქები, ასევე, ზოგიერთი სხვა ხალხები.

3 თურქ-სელჯუკთა განუწყვეტელი შემოსევები საქართველოში XI საუკუნის 80-იან წლებში.

ბაში საქართველოსა და სელჯუკთა სახელმწიფოს დაშლის შემდეგ წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულებს შორის პერმანენტული ომები მიმდინარეობდა. სელჯუკებთან ბრძოლაში დავით აღმაშენებელმა ყივჩაღები გამოიყენა. ყივჩაღები თურქული, თუმცა არა ოღუზური მოდგმის ხალხი იყო. მათმა ნაწილმა საქართველო დატოვა, ხოლო მეორე ნაწილი ქართველებს შორის ასიმილირდა.

XI–XII საუკუნეებში ადარბადაგანში⁴, არანსა⁵ და მცირე აზიაში შემოჭრილმა ოღუზმა თურქებმა დაკავებულ ტერიტორიებზე დამკვიდრება დაიწყეს. თანდათანობით ამ რეგიონების ეთნიკური და ენობრივი შემადგენლობა შეიცვალა. XX საუკუნეში ეს პროცესი თანამედროვე აზერბაიჯანელი და თურქი ერების ჩამოყალიბებით დასრულდა.

თურქმანული ტომები აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებთან (XV–XVI სს.)

თურქული მოდგმის ტომების მომდევნო გამოჩენა აღმოსავლეთ საქართველოს განაპირა მხარეებში XIV–XV საუკუნეების მიჯნას, კერძოდ, თემურ-ლენგის შემოსევებსა და მის შემდგომ პერიოდს უკავშირდება. 1400-იანი წლებიდან საქართველოს სამეფო თურქმანებთან და მათ მიერ შექმნილ ძლიერ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებთან ხანგრძლივ დაპირისპირებაში ჩაერთო. საქართველოს ორი მეფე: გიორგი VII და კონსტანტინე I, მათთან ბრძოლაში დაიღუპა. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ხანებში უნდა დაეკავებინათ თურქმანებს ლორე, საიდანაც მეზობელ ქართულ მხარეებს დიდ ზიანს აყენებდნენ. ციხესიმაგრე ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუსლიმთა ხელში დარჩა. 1431 წელს ალექსანდრე I-მა ლორე გაათავისუფლა (ჯავახიშვილი 1967, 30–32). მეფის მიერ მოპოვებული გამარჯვება არ ყოფილა საბოლოო, დაპირისპირება მომდევნო ათწლეულშიც გაგრძელდა. 1440 წელს ყარა-ყოიუნლუს⁶ სულთანმა ჯეჰან-შაჰმა საქართველო დალაშქრა, რასაც დიდი მსხვერპლი და აოხრება მოჰყვა (მაისურაძე 1999, 103–104). XV საუკუნის 60-იან-70-იან წლებში აღ-ყოიუნლუს⁷ სახით ქვეყანას ახალი მოწინააღმდეგე მოეწვინა.

4 რეგიონი ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებში ძირითადად მოიცავდა დღევანდელი ირანის ისლამური რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილს.

5 რეგიონი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში დღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის შემადგენლობაში.

6 თურქმანული ტომების მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი გაერთიანება დასავლეთ აზიაში. XV საუკუნის მეორე ნახევარში დაიპყრო აღ-ყოიუნლუმ.

7 თურქმანული ტომების მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი გაერთიანება დასავლეთ აზიაში.

ლორეს ციხე და სომხითის ველი თურქმანული ტომების მიერ შექმნილი ამ სახელმწიფოს ხელში მოექცა (ჯავახიშვილი 1967, 109). ეს ტერიტორიები ქართველებმა 1478 წელს აღ-ყოიუნლუს მმართველის, უზუნ-ჰასანის, გარდაცვალების შემდეგ დაიბრუნეს. 1480-იან წლებში მისი მემკვიდრე იაყუბი საქართველოზე გავლენის აღდგენას შეეცადა, ბრძოლა ქართლის სამხრეთ საზღვრებთან ისევ განახლდა. XV–XVI საუკუნეების მიჯნაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ქვემო ქართლში მდ. დებედის მახლობლად მდებარე აღჯაყალის ციხემ შეიძინა, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა.

XV–XVI საუკუნეებს თურქმანული ტომების საქართველოში დამკვიდრების ადრეული და მეტწილად წარუმატებელი მცდელობები უკავშირდება. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა, რომ ერთ-ერთი ლაშქრობის შემდეგ კონსტანტინე II-მ ქართლის სამხრეთ საზღვრიდან ელები⁸ განდევნა (ბატონიშვილი 2012, 9). მცირერიცხოვანი თურქული მოდგმის მოსახლეობა 1537–1538 წწ-ში ლუარსაბ I-ის მიერ გამოცემულ განჩინებაშიც არის მოხსენიებული. ეს დოკუმენტი იოთამ და ორბელ ბარათაშვილების გაყრას ეხება. აქ ჩამოთვლილ მრავალ დასახლებულ პუნქტს შორის რამდენიმეგან მცირე ოდენობით თათრები⁹ ცხოვრობდნენ (დოლიძე 1973, 14–33). ქართლის მეფის განჩინებაში მოხსენიებული თურქული წარმოშობის ხალხი იოთამ ბარათაშვილის საწილოდ იყო მიკუთვნებული და ქართულ ფეოდალურ სისტემაში სრულად ინტეგრირებული ჩანდა. XVIII საუკუნის ქართულ და ოსმალურ აღწერებში ამ ადგილებში მუსლიმური მოსახლეობა აღარ ჩანს. XV–XVI საუკუნეებში თურქმანული ტომების პერმანენტული შემოჭრები ქვემო ქართლის ტოპონიმიკაზეც აისახა.

საუკუნეთა მიჯნაზე როგორც საქართველოში, ისე მის სამხრეთ საზღვრებზე მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. არსებობა შეწყვიტა ერთიანმა საქართველომ და მის ადგილზე სამი სამეფო და ერთი საათაბაგო წარმოიშვა. ამავდროულად, სამხრეთ-დასავლეთიდან საქართველოს ოსმალეთი გაუმეზობლდა. XVI საუკუნის დამდეგიდან საქართველოს კიდევ ერთი ძლიერი სახელმწიფო, შიიტი ყიზილბაშების¹⁰ დაარსებული სეფიანთა ირანი ესაზღვრებოდა. ორ ძლიერ იმპერიას შორის მოქცეულ ქართულ სამეფო-სამთავროებს თვითგადარჩენისათვის ბრძოლა და კომპრომისების ძიება უწევდათ. 1555 წელს ირან-ოსმალეთის ხანგრძლივი ომი ამასიის ზავითა და ორ

ლეთ აზიაში. XVI საუკუნის დასაწყისში გაანადგურეს ყიზილბაშებმა.

8 თურქული წარმოშობის მომთაბარე, მწყემსი მოსახლეობა.

9 აქ: თურქმანული მოსახლეობა.

10 შიიტური თურქმანული ტომების გაერთიანება.

სახელმწიფოს შორის საზღვრების დადგენით დასრულდა. საზავო პირობებით საქართველო ორად გაიყო: ქართლი, კახეთი და აღმოსავლეთ სამცხე-საათაბაგო ირანის გავლენის სფეროში მოექცა, ხოლო იმერეთი, ოდიში, გურია და დასავლეთ სამცხე-საათაბაგო ოსმალეთს ერგო. ქართლის მეფეები ლუარსაბ I და სვიმონ I შექმნილ რეალობას არ ეგუებოდნენ და ბრძოლას განაგრძობდნენ. 1578 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ახალი ომი გაჩაღდა. მალევე ოსმალებმა სამხრეთ კავკასიის დიდი ნაწილი დაიკავეს. ქართლი ოსმალური ოკუპაციის ქვეშ მოექცა. სვიმონ I ოსმალების წინააღმდეგ ხანგრძლივ გამათავისუფლებელ ომს აწარმოებდა. 1590 წელს ირან-ოსმალეთის ომი დასრულდა, სეფიანთა სახელმწიფოთი მნიშვნელოვანი ტერიტორიების დათმობა მოუწია, მათ შორის იყო აღმოსავლეთ საქართველოც. 1599 წელს ნახიდურის ბრძოლაში ოსმალებმა სვიმონ I დაატყვევეს. მეფე რამდენიმე წლის შემდეგ სტამბოლში გარდაიცვალა. მრავალწლიანმა ომმა ქართლი საგრძნობლად დააზარალა, შემცირდა მოსახლეობა და ქვეყანა ეკონომიკურად დასუსტდა (ეგნატაშვილი 1989, 753).

XV–XVI საუკუნეებში საქართველოს სამეფოს დაშლისა და ძლიერი მუსლიმური სახელმწიფოების დამეზობლების მიუხედავად, აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთი სასაზღვრო რეგიონების ეთნიკური შემადგენლობა პრაქტიკულად არ შეცვლილა. ამავდროულად, XVI საუკუნეში ქართლისა და კახეთის სამეფოების უშუალო სიახლოვეში ყიზილბაშური ტომები დასახლდნენ, დაარსდა ირანის დაქვემდებარებაში მყოფი შამშადილუსა და ყაზახის სახანოები (ბოშიშვილი 2015, 85).

ბორჩალუს სახანო (XVII ს.–XVIII ს-ის პირველი ნახევარი)

XVII საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოს მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1603 წელს ირანის შაჰმა ოსმალეთის წინააღმდეგ ახალი ომი წამოიწყო, რომლის ერთ-ერთ ასპარეზად სამხრეთ კავკასია იქცა. ქართლისა და კახეთის სამეფოები ომში ირანელთა მხარეს ჩაერთო. 1604 წელს გაერთიანებულმა ირანულ-ქართულმა ლაშქარმა ერევანი აიღო. მოპოვებული გამარჯვების შემდეგ შაჰმა ქართლის მეფეს ლორეს ციხისა და დებედის ხეობის დათმობა აიძულა. ამ ტერიტორიის ირანელთა ხელში გადასვლა მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური მოვლენა იყო. ამიერიდან ქართლის სამხრეთ საზღვარი მოირღვა, ხოლო აბას I-ს ქართლის გაკონტროლება მნიშვნელოვნად გაუძარტივდა. დაკავებულ ტერიტორიაზე ძალაუფლების გასამტკიცებლად შაჰმა ბორჩალუს ტომი დაასახლა (ვახუშტი 1941, 34). ბორჩალუ თურქმანული ტომი იყო და XVII საუკუნის დასაწყისში

ქვემო ქართლში მისმა შემოსვლამ საქართველოში ძლიერი თურქული ელემენტის დამკვიდრებას ჩაუყარა საფუძველი.

ბორჩალუს ტომის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მცირე სახანო ჩამოყალიბდა, რომელმაც ფორმალურად XVIII საუკუნის დასასრულამდე იარსება. ახლადშექმნილი სახანო იკავებდა ტერიტორიას მდ. დებედის აღმოსავლეთ სანაპიროდან მდ. ხრამამდე (იქვე, 35). XVII–XVIII საუკუნეებში ბორჩალუს საზღვრები არ შეცვლილა და ის კვლავ მდინარეებს, დებედასა და ხრამს შორის მდებარე არეალს მოიცავდა (გიულდენშტედტი 1962, 75). ამდენად, მცდარია ალისოიბათ სუმბათ-ზადეს მოსაზრება, რომელმაც XVIII საუკუნეში თეიმურაზ II-ის მიერ ბორჩალუსა და ყაზახზე კონტროლის აღდგენა, ბოლნისისა და დმანისის რაიონების საქართველოს შემადგენლობაში შესვლასთან გააიგივა (Сумбатзаде 1990, 246). ზემოხსენებული რაიონები XVII–XVIII საუკუნეების განმავლობაში განუწყვეტლივ რჩებოდა ქართლის სამეფოს შემადგენლობაში და სომხით-საბარათიანოში შედიოდა. დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით ბორჩალუს სახანო მარნეულის მუნიციპალიტეტის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილსა და სომხეთ-აზერბაიჯანის მცირე სასაზღვრო ტერიტორიას მოიცავდა, დაახლოებით 250–300 კვ.კმ-ს. ბორჩალუს, როგორც ქვემო ქართლის დიდი ნაწილის აღმნიშვნელი გეოგრაფიული სახელწოდების დამკვიდრება, XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ ჩატარებულ ადმინისტრაციულ დაყოფას უკავშირდება და მისი ამ შინაარსით გამოყენება XVII–XVIII საუკუნეებში განვითარებულ მოვლენებზე საუბრისას ანაქრონისტულია.

თურქმანული ტომები ქართლის სამეფოში (XVII ს.–XVIII ს-ის პირველი ნახევარი)

XVII საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია აღმოსავლეთ საქართველოს ეთნო-დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. 1610-იანი წლებიდან მოყოლებული შაჰ-აბას I-ის შემოსევების, ქართველთა აჯანყებებისა და შიდაფეოდალური დაპირისპირებების შემდეგ, 1632 წელს ქართლსა და ირანს შორის ახალი სტატუს-კვო დამყარდა, რომელმაც 90 წელი იარსება. სეფიანთა ირანზე საკმაოდ დიდი პოლიტიკური და სამხედრო დამოკიდებულების მიუხედავად, შენარჩუნდა საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ჩამოყალიბებული სოციალური და ეკონომიკური წყობა. სწორედ ამ პერიოდში საქართველოში ახალი თურქმანული ტომები გამოჩნდნენ. ქართლში შემოსული ტომები სამეფო ხელისუფ-

ლებას ემორჩილებოდნენ, რომელიც მათ არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სისტემაში ჩართვას ცდილობდა.

ბორჩალოს ტომის საქართველოში დასახლებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ თურქმანულმა ტომებმა მდ. დებედის დასავლეთ ნაპირი დაიკავეს, რომელსაც ალაღაჯი ეწოდა. ამავდროულად, ყულარის ტომის ელები მდ. შულავრის ხევში დამკვიდრდნენ (ვახუშტი 1941, 34). საყურადღებოა, რომ 1720-იან წლებში კულლარი ამ მხარეში მდებარე ერთ-ერთი ყველაზე დიდი სოფელი იყო (ჯიქია და შენგელია 2009, 207–209). მდ. შულავრის ხევში ყულარის ელები და მათი სოფლები XVIII საუკუნის ბოლოსაც არის მოხსენიებული (ბაგრატიონი 1986, 56). ირანის შაჰის, სეფის, სახელს უკავშირდება სოფელ ნახიდურიდან ნაჯბადინამდე მდ. ხრამის ორივე ნაპირზე ელების ჩამოსახლება. ეს ტერიტორია, რომელსაც მანამდე წყალთაშუა ეწოდებოდა, XVII–XVIII საუკუნეებში ბაიდარის სახელით გახდა ცნობილი (ვახუშტი 1941, 45). ასევე თურქმანული ტომები დასახლდნენ ალგეთისა და მტკვრის შესართავიდან იალლუჯის მთამდე და მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ყარაიას ველზე, სადაც დემურჩი-ჰასანლუს მრავალრიცხოვანი ტომი დამკვიდრდა (იქვე, 48–50). XVII საუკუნის ქართველი მემკვიდრე ფარსადან გორგიჯანიძე ქართლის მეფე როსტომის გამგებლობის ქვეშ 5,000 თათრულ კომლს იხსენიებდა (გორგიჯანიძე 1926, 52). XVIII საუკუნის დამდეგს თურქმანებმა დასავლეთით, მდ. მაშავერას ხეობის მიმართულებითაც დაიწყეს გაფართოება, ეს ტერიტორია მჭიდროდ იყო დასახლებული ქრისტიანული მოსახლეობით, ამდენად, აქ მომთაბარე ტომები ძალიან მცირედ იყვნენ წარმოდგენილი.

ვახტანგ VI-ის მმართველობის პერიოდში ქვემო ქართლში არსებული ვითარების, ელების საცხოვრებელი არეალის, რაოდენობის, ყოფისა და ქართლის სამეფო ხელისუფლებასთან მათი დამოკიდებულების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“; „დასტურლამალი“¹¹ და 1721 წელს ჩატარებული მეწინავე სადროშოს¹² აღწერა. ასევე ძვირფას ინფორმაციას შეიცავს ოსმალური ოკუპაციის პერიოდში 1728 წელს შედგენილი „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“: ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ქვემო ქართლში მომთაბარე ელები, რომლებიც ობებად¹³ ერთიანდებოდნენ, ძირითადად მეწინავე სადროშოს აღმოსავლეთ დაბლობ ნაწილში

11 ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლი.

12 სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ფეოდალურ საქართველოში. სახელმწიფოს ტერიტორიების სადროშოებად დაყოფა სამხედრო შენაერთების ტაქტიკური ნაწილების სახელებს შეესაბამებოდა. ქართლის სამეფოში მეწინავე სადროშო მოიცავდა ქვემო ქართლს და დღევანდელი სომხეთის ჩრდილოეთ ნაწილს.

13 მომთაბარე თურქმანული ტომების ერთეულები, გარკვეული ნიშნით გაერთიანებული ელების ჯგუფები.

ცხოვრობდნენ. ბატონიშვილი ქვემო ქართლში 194 ობას ასახელებს (ვახუშტი 1941, 190–197). აქედან ყველაზე მეტი, 120, დემურჩი-ჰასან-ლუს ტომს მიეკუთვნებოდა და მტკვრისპირეთში ბინადრობდა. ამ პერიოდში თურქმანების განსახლების ძირითადი არეალი მდინარეების: მტკვრის, დებედის, ხრამისა და ალგეთის ქვემო წელი იყო. ჩრდილოეთით მომთაბარე ელები ლილომდე და ლოჭინამდე აღწევდნენ. აქ თათართა ნასოფლარები XVIII საუკუნის ბოლომდე იხსენიებოდა (ბაგრატიონი 1986, 29). თრიალეთში ელები XVII–XVIII საუკუნეებში საერთოდ არ ცხოვრობდნენ, ხოლო მდ. მაშავერას ხეობაში მხოლოდ 2 ობა იყო: ნასიბლუ და აღბაგალუ. აღბაგალუ მოხსენიებულია 1721 წლის აღწერაში, იქვე ჩანდნენ ქართველი ფეოდალების დაქვემდებარებაში მყოფი მცირერიცხოვანი თათრებიც (თაყაიშვილი 1907, 175–176). რაც შეეხება ნასიბლუს, ის 7 წლის შემდეგ ჩატარებულ ოსმალურ აღწერაში საბარათიანოს ნაჰიეში¹⁴ იყო დაფიქსირებული (ჯიქია და შენგელია 2009, 120–121). სომხით-საბარათიანოს სხვა ხეობებში თურქმანული ტომები ან საერთოდ არ ცხოვრობდნენ, ან ძალზე მცირედ იყვნენ წარმოდგენილი.

„დასტურლამალში“ ქვემო ქართლში მობინადრე ელებს, ცალკე მათთვის განკუთვნილი თავები აქვთ დათმობილი, სადაც ისინი სხვადასხვა ჯგუფად იყოფოდნენ. მოცემული იყო მდივანბეგის აღწერილი ელები, ჩამოთვლილი იყო მათი ოიმახებისა¹⁵ და თაბუნების¹⁶ დასახელებები, კომლების რაოდენობა და გადასახადის გამოძღვებთა რიცხვი. „დასტურლამალში“ ჩამოთვლილი იყო სხვა ელებიც, ზოგიერთი მათგანის შესახებ შედარებით დაწვრილებითი ინფორმაცია იყო მოცემული. აქვე მოხსენიებული არიან ქვემო ქართლში სხვა მხარეებიდან დროებით გადასული ელები. კერძოდ, კახეთის, პალაკაციოსა და „სხვა ქვეყნის“ ელები. ეს პრაქტიკა შემდეგშიც შენარჩუნდა, ასე მაგალითად, XVIII საუკუნის დამლევეს ბორჩალუში თულარის ელები იყვნენ გადასული (ბაგრატიონი 1986, 60). ვინაიდან თურქმანების დიდი ნაწილი მომთაბარე იყო და მესაქონლეობას მისდევდა, ისინი სეზონურად გადაადგილდებოდნენ. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ზამთარს ქართლის ელები მტკვრისპირეთში, ყარაიას ველსა და გარეჯის მთებში ატარებდნენ, ხოლო ზაფხულობით პალაკაციოსა და ყაიყულის მთებში ადიოდნენ (ვახუშტი 1941, 51).

ქართლსა და კახეთში მცხოვრები თურქული წარმოშობის ტომები უმეტესწილად მესაქონლეობით იყვნენ დაკავებული, გარდა ამი-

14 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ოსმალეთის იმპერიაში.

15 ელების დაჯგუფებების ნაწილი, ტომობრივ-გვაროვნული გაერთიანება.

16 აქ: ელების დაჯგუფებები.

სა, ისინი მიწათმოქმედებასაც ეწეოდნენ. ასე მაგალითად, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრები ელები ბრინჯის, ბამბისა და მარცვლეულის მოყვანითა და მეაბრეშუმეობით იყვნენ ცნობილი (იქვე, 48). ბრინჯი მოჰყავდათ ივრისპირეთში მცხოვრებ დემურჩი-ჰასანლუბსაც (გიულდენშტედტი 1962, 245).

„დასტურლამალი“ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს იმის შესახებ, თუ როგორ და რა ფორმით ცდილობდა სამეფო ხელისუფლება ახალი ელემენტის ფეოდალურ სისტემაში ჩართვას, რა გადასახადების გადახდა და სამსახურის გაწევა ევალეობდა ელების სხვადასხვა ჯგუფს და ა.შ. ამავე სამართლის ძეგლის მიხედვით, ელების აღწერა ყოველ 3 წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარებულიყო (უმიკაშვილი 1886, 22–23). „დასტურლამალში“ არსებული ცნობების დეტალური გაანალიზების შემდეგ იასონ ლორთქიფანიძემ ელების საერთო რაოდენობა გამოითვალა, რომელიც 3,325 კომლით განსაზღვრა (ლორთქიფანიძე 1938, 150). აღსანიშნავია, რომ არც ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერასა სამეფოსა საქართველოსაში“, არც 1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერაში და არც „დასტურლამალში“ არაა შესული ინფორმაცია მდ. დებედის აღმოსავლეთით, ბორჩალუს სახანოში მცხოვრები, თურქმანული მოსახლეობის შესახებ.

1723 წელს ოსმალეთმა ისარგებლა ირანში არსებული ქაოსით და ახალი ომი წამოიწყო. აღმოსავლეთ საქართველო ოსმალური ოკუპაციის ქვეშ მოექცა. ქართლში ოსმალთა ბატონობა დიდი ხანი არ გაგრძელებულა და ის 1730-იან წლებში დასრულდა, თუმცა მანამდე ახალმა ხელისუფლებამ მოასწრო აღწერა და დაებეგრა ადგილობრივი მოსახლეობა. ოსმალური აღწერა ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს და აზუსტებს ცნობებს ქართლში მცხოვრები თურქმანული ტომების შესახებ. დავთარში დღევანდელი ქვემო ქართლი რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულადაა დაყოფილი, ყველაზე დიდ ტერიტორიასა და მეტ დასახლებულ პუნქტს საბარათიანოს ნაჰიე მოიცავდა, აქვეა სომხეთის ლივის ნაჰიეც. როგორც ერთგან, ისე მეორეგან თურქული წარმოშობის მოსახლეობა მცირედ გვხვდებოდა, განსაკუთრებით კი საბარათიანოში. ეს ადმინისტრაციული ერთეულები პრაქტიკულად მთლიანად ქრისტიანებით იყო დასახლებული. ამ მხრივ, „თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“ იმეორებს 1721 წლის აღწერისა და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებს. ინტერესს იმსახურებს ინფორმაცია სომხეთში მოზინადრე თურქმანებსა და მათ ქონებრივ დამოკიდებულებაზე ადგილობრივ მიწათმფლობელებთან. ასე მაგალითად, ფოლადაურის ყიშლალში¹⁷ მკვიდრი მოსახლეობა, რომელიც ქვედა ბოლნისის მიწებს ამუშავებდა, ბეჰრეს¹⁸ ერთ მეხუთედს მიწის მესაკუთრებს აძლევდა (ჯიქია და შენგელია 2009, 351).

17 სასოფლო დასახლება, სადგომი.

18 ოსმალური გადასახადი მოსავლის წილის სახით.

დავთარი მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს ქვემო ქართლში თურქმანული ტომების განსახლების ძირითადი არეალის შესახებაც. ადმინისტრაციულად ეს ბაიდარისა და თიმურჯი ჰასანლუს ნაჰიეები და ახჩა ყალის ლივა¹⁹ იყო. სამივე ერთეული პრაქტიკულად სრულად თურქული მოდგმის მკვიდრი და მომთაბარე ხალხით იყო დასახლებული. ამ მხარეების მოსახლეობა ცხოვრების წესიდან გამომდინარე ხშირად გადაადგილდებოდა. ამ მხრივ, საყურადღებოა, ცნობები იმის შესახებ თუ ვის უხდიდა ასეთი ხალხი გადასახადებს. ასე მაგალითად, ბაიდარის სოფელ ზიმეჩი შაჰლუს მოსახლეობა ბორჩალუში იზამთრებდა და იქვე ბინადრობდა, ამიტომ გამოსაღებ გადასახადს ბორჩალუს მფლობელებს უხდიდა, ხოლო სხვა გადასახადები ბაიდარელებთან უნდა გადაეხადა (იქვე, 200). თიმურჯი ჰასანლუს ნაჰიეში დაფიქსირებულია მრავალი თურქმანული ტომი, რომელთა დასახელებები რეგიონის ტოპონიმკაზეც აისახა. ნაჰიეში ცხოვრობდნენ იუზბაშის, სარაჯლუს, ქეფენქრისა და სხვა ტომები (იქვე, 221–261). ახჩა ყალის ლივაში ბორჩალუს მომთაბარე მოსახლეობა ოიმაქებად²⁰ იყო გაერთიანებული, რომლებიც სხვადასხვა ჯამაათად²¹ იყოფოდა (იქვე, 390–411). არსებული წყაროების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ XVIII საუკუნის 20-იან წლებში დღევანდელი ქვემო ქართლი საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული, მის ჩრდილოეთ, დასავლეთ და შუა ნაწილში ქრისტიანული (უმეტესწილად ქართული), მოსახლეობა დომინირებდა, ხოლო აღმოსავლეთში თურქული მოდგმის ხალხი ბინადრობდა (იხ. რუკა 1).

სამეფო ხელისუფლებისათვის მნიშვნელოვანი იყო საქართველოში შემოსული ტომების სამხედრო ძალად გამოყენება. ქართლში დამკვიდრებული თურქმანების ერთ-ერთი მოვალეობა სალაშქროდ გამოსვლა იყო. ასე მაგალითად, ბაიდარში მცხოვრები ელები მეფის „მონარკეები და მოლაშქრეები“ იყვნენ (ვახუშტი 1941, 45). ბორჩალუში, ყაზახსა და ქართლ-კახეთის სხვა ადგილებში მცხოვრები თურქული წარმოშობის მოსახლეობის სამხედრო ძალად გამოყენების მნიშვნელობა, XVIII საუკუნის შუა წლებიდან კიდევ უფრო გაიზარდა.

ამავდროულად, XVII–XVIII საუკუნეებში სამეფო კარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალ მოსახლეობაზე ქართული სამოხელეო აპარატის ძალაუფლების განვრცობას. ასე მაგალითად, ვახტანგ V-მ, ქართლის მეფემ, ვახტანგ ბარათაშვილ-ორბელიშვილი სხვა მხარეებთან ერთად თათრის მდივანბეგადაც დანიშნა (თაყაიშვილი 1909, 137–138). ამ მხრივ მეტად საინტერესოა, XVIII საუკუნეში შექმნილი

19 ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ოსმალეთის იმპერიაში.

20 იგივეა რაც ოიმახი.

21 აქ: სოფლის საზოგადოება, თემი.

პოლიტიკური მდგომარეობა, როდესაც თეიმურაზ II-მ და ერეკლე II-მ სამეფოს ცენტრალიზაციისაკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგეს. საგრძნობლად გაფართოვდა ქართლისა და კახეთის სამეფოების ფარგლები, აღდგა სრული კონტროლი ბორჩალზე, ზამბაკსა და ყაზახზე, მეფის გავლენა გავრცელდა შამშადილზეც. ერეკლე II დიდ ყურადღებას უთმობდა ელებით დასახლებული მხარეებისა და მათი ადგილობრივი მმართველების კონტროლს. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში აქ მოურავებად ქართველი თავადები ინიშნებოდნენ. საუკუნის ბოლო დეკადაში ელების ნაწილი სამეფო ოჯახის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადავიდა.

თურქმანული ტომები კახეთის სამეფოში (XVII–XVIII სს.)

XVII საუკუნეში მომთაბარე თურქმანული ტომები კახეთის სამეფოშიც დამკვიდრდნენ. 1614–1617 წწ.-ში შაჰ აბას I-ის დამანგრეველი ლაშქრობების შემდეგ კახეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაილუპა ან ირანის შიდა პროვინციებში გაასახლეს. სამეფოს მთელი რიგი მხარეები სრულად გაუკაცრიელდა, ზოგიერთი მათგანი XX საუკუნემდეც კი დიდწილად დაუსახლებელი დარჩა. ქართლის მსგავსად, ელების კახეთში შემოსვლა არ ყოფილა ერთგვაროვანი პროცესი და ის დიდი ხნის განმავლობაში გრძელდებოდა. კერძოდ, ივრისპირეთში თურქული მოდგმის მოსახლეობის შემოყვანა, თეიმურაზ I-ისა და კახეთის მმართველი ხანების სახელს უკავშირდებოდა (ვახუშტი 1941, 89). განსხვავებული პროცესები წარიმართა 1650-იან წლებში შიდა კახეთში, სადაც ირანის შაჰი აბას II შეეცადა მრავალრიცხოვანი თურქმანული ტომები დაესახლებინა.

დიდი რაოდენობით უცხო, მომთაბარე ხალხის შემოსვლამ დაარღვია საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობები, რამაც კახეთისა და მიმდებარე მთიანი მხარეების არსებობა საფრთხის ქვეშ დააყენა. უცხო მოსახლეობის მოძალებამ ქართველთა აჯანყება გამოიწვია. ამბოხებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს მთიელმა ქართველებმა: თუშებმა, ფშავლებმა და ხევსურებმა. ბახტრიონის აჯანყება თურქმანული მოსახლეობის ამოწყვეტით დასრულდა. სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი განადგურებული თურქმანების რაოდენობას 1,500 კომლით აფასებდა (დავრიჟეცი 1974, 56). დავრიჟეცის მიერ მოცემული რიცხვი ახლოს უნდა იყოს რეალობასთან. „ახალი ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ბახტრიონის აჯანყების შემდეგ კახეთში თურქული მოდგმის ტომები აღარ დარჩენილან, ყარაღაჯისა და მისი მიდამოების გარდა, სადაც იმ დროს ხანის რეზიდენცია იყო (ეგნატაშვილი 1989, 815).

XVIII საუკუნის დამდეგისათვის კახეთში ელები მხოლოდ მდ. ალაზნის ქვემო წელზე და ივრისპირეთში ცხოვრობდნენ. სწორედ აქ იხსენიებს ვახუშტი ბაგრატიონი მათ ობებს. კერძოდ, მდ. ალაზნის ნაპირებზე ფადარი ელების ტომი ბინადრობდა (ვახუშტი 1941, 97). ფადარები საკმაოდ მრავალრიცხოვანი და ძლიერი ტომი იყო, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია არაერთი ტოპონიმი ამ სახელით, მათ შორის ზაქათალის რაიონშიც.

იოჰან გიულდენშტედტი მდ. ივრის ნაპირებზე მცხოვრებ ელებს დემურჩი-ჰასანლუს ტომს მიაკუთვნებდა და მათ რაოდენობას 10,000 კომლით განსაზღვრავდა, რომლებიც ნადირ შაჰმა XVIII საუკუნის შუა ხანებში დაარბია და გაფანტა. გიულდენშტედტის მიხედვით, მათი ნაწილი ქვემო ქართლში გადასახლდა და ხელახლა შექმნა დემურჩის მხარე (გიულდენშტედტი 1962, 75). თუმცა თიმურჯი ჰასანლუს ნაჰიე ჯერ კიდევ 1728 წელს თბილისის ვილაიეთის აღწერაშია მოხსენიებული. ამავე ტომს ასახელებს ვახუშტი ბაგრატიონი ყარაიაში, ამდენად მათი ქართლში გამოჩენა ნადირ შაჰთან არ უნდა იყოს დაკავშირებული და ის უცილობლად უფრო ადრე უნდა მომხდარიყო. ვახუშტის ცნობით, მდინარეების, ალაზნისა და ივრის ნაპირებზე მობინადრე თურქმანული ტომები, ნადირ შაჰმა ერთდროულად აყარა და ხორასანში გადაასახლა (ვახუშტი 1941, 97). იგივე ბედი ეწიათ ყარაიას ველზე მცხოვრებ მრავალრიცხოვან ელებს. ვახუშტი ბატონიშვილისა და იოჰან გიულდენშტედტის ცნობებს ადასტურებს იოანე ბაგრატიონი. მას მოხსენიებული აქვს იორზე კახეთის ელების ნასოფლარები (ბაგრატიონი 1986, 67). ასევე იოანე ბაგრატიონი აღნიშნავს, რომ ქიზიყში ელები მდგარან. ქიზიყში თურქული წარმოშობის მოსახლეობა აღარ გვხვდება. გარე კახეთში, მდ. ივრის პირებზე, აზერბაიჯანელები დღესაც ცხოვრობენ. თავდაპირველად მათი რაოდენობა მეტად მცირე უნდა ყოფილიყო და ის რამდენიმე ასეულ ადამიანს არ აღემატებოდა. XIX საუკუნის შუაში სიღნაღის მაზრაში მხოლოდ 158 კომლი თათარი ცხოვრობდა (Кавказский календарь 1854, 277), ისინი გარე კახეთში მდებარე რამდენიმე სოფელში იყვნენ განსახლებული. იმავე საუკუნის დამლევს ზემოხსენებულ სოფლებში მოსახლეობა გაიზარდა და ჯამში 319 კომლი შეადგინა (Свод статистических данных... 1893, 84).

XVIII საუკუნის შუა ხანებში, კახეთის სამეფოში თურქმანული მოსახლეობის კიდევ ერთი კერა თელავის სიახლოვეს, ალაზნის ველზე გაჩნდა. მათი საქართველოში გადმოსახლების გარემოებების შესახებ ინფორმაცია იოჰან გიულდენშტედტს აქვს დაცული. გერმანელი მოგზაური თურქული წარმოშობის მოსახლეობის კახეთში დამკვიდ-

რებას ერეკლე II-ს უკავშირებდა. იგი წერდა, რომ მულანის ველზე,²² არაქსა და მტკვარს შორის მცხოვრები თურქმანები, რომლებიც ნადირ შაჰმა ძლიერ შეავიწროვა, ერეკლე II-მ კახეთში გადმოსახლა. იგი ჩამოთვლის მათ სოფლებს: მულანლოს, ყაფანახრის, ყარაჯალასა და ყიზილჰაჯილს. ახალმოსახლეთა რაოდენობას გიულდენშტედტი 250 კომლით აფასებდა (გიულდენშტედტი 1962, 39). აგრეთვე, ერეკლე II-ის მიერ გადმოსახლებული თურქმანები მოხსენიებული არიან „ქართლ-კახეთის აღწერაში“, აქ მცხოვრები თათრები XVIII საუკუნის ბოლოს გიორგი XII-ის ძის, თეიმურაზის, გამგებლობის ქვეშ ყოფილან (ბაგრატიონი 1986, 69). გარე კახეთის თურქმანების მსგავსად, თელავის მიდამოებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობაც მცირე იყო. საფიქრებელია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ წლებში მათი რაოდენობა რამდენიმე ასეულ ადამიანს არ აღემატებოდა. 1855 წლის „კავკასიური კალენდრის“ მიხედვით, თელავის მაზრაში სულ 199 კომლი თათარი ცხოვრობდა (Кавказский календарь 1854, 277). XIX საუკუნის ბოლოს ზემოჩამოთვლილ სოფელთაგან მხოლოდ ორი: ყარაჯალა და ყაფანახრი არსებობდა, მოსახლეობის რაოდენობა კი 351 კომლამდე გაიზარდა (Свод статистических данных... 1893, 88).

ქვემო ქართლი XVIII საუკუნის შუა ხანებსა და მეორე ნახევარში

XVIII საუკუნის შუა წლებში აღმოსავლეთ საქართველოში მდგომარეობა კიდევ ერთხელ შეიცვალა, რამაც ქვეყნის დემოგრაფიულ და ეთნიკურ შემადგენლობაში ხელშესახები ცვლილებები შეიტანა. ოსმალური ოკუპაცია დასრულდა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ირანის ჰეგემონია აღდგა. XVIII საუკუნის 30-იან წლებში ქართლ-კახეთში ფეოდალური ანარქია გაძლიერდა. 1740-იან წლებში ერეკლე II-ს ქვემო ქართლში გამაგრებულ ტახტის პრეტენდენტ აბდულა-ბეგთან მოუწია დაპირისპირება, რომელიც მეფის გამარჯვებით დამთავრდა. ამავდროულად, XVIII საუკუნეში ლეკების გამანადგურებელი თავდასხმები მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე გავრცელდა, რამაც განსაკუთრებული ზიანი ქვემო ქართლს მიაყენა და საბოლოოდ მისი აოხრების მთავარ მიზეზად იქცა. მოთარეშე ლეკების რაზმების მრავალჯერადი დამარცხების მიუხედავად, „ლეკიანობის“²³ აღმოფხვრა

22 ველი აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, დღეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სამხრეთში.

23 დაღესტნელ ფეოდალთა და ბელადთა განუწყვეტელი თავდასხმები აღმოსავლეთ საქართველოზე. დაიწყო გვიან შუა საუკუნეებში და პიკს XVIII საუკუნეში მიაღწია. უმეტეს შემთხვევაში ეწყობოდა რბევისა და ძარცვის მიზნით.

ვერ მოხერხდა. XVIII საუკუნის შუა წლებში დაიწყო სომხით-საბარათიანოსა და თრიალეთის მოსახლეობისაგან დაცლა, რაც რამდენიმე ათეულ წელში დასრულდა. საუკუნის ბოლო მეოთხედისათვის ქვემო ქართლის დიდი ნაწილი თითქმის მთლიანად გაუკაცრიელდა. 1721 წლის აღწერასა და „დასტურლამალზე“ დაყრდნობით, იასონ ლორთქიფანიძე ვარაუდობდა, რომ ამ მხარეში დაახლოებით 12,500 კომლს უნდა ეცხოვრა (ლორთქიფანიძე 1938, 153–155). თუმცა უკვე 1770-იან წლებში იოჰან გიულდენშტედტი ქვემო ქართლის დიდ ნაწილს უკაცრიელ და საცხოვრებელთა ნანგრევებით სავსე უდაბნოს უწოდებდა (გიულდენშტედტი 1962, 239). გერმანელი მოგზაურის ცნობა გამეორებულია 1770 წელს ერეკლე II-ის ბრძანებით შედგენილ სტატისტიკურ ნუსხაში, სადაც თრიალეთი აოხრებულად და გაუკაცრიელებულადაა მოხსენიებული. ამავე დოკუმენტის მიხედვით, თითქმის მთლიანად დაცლილი იყო სომხითი და საბარათიანო, სადაც ორმოცი და ასი მოსახლისაგან ერთი თუ დარჩა (გამრეკელი და ცქიტიშვილი 1973, 154).

XVIII საუკუნეში „ლეკიანობა“ და მისი დამანგრეველი შედეგები დაწვრილებით აღწერეს ამ პერიოდის ქართველმა ისტორიკოსებმა. ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა პაპუნა ორბელიანი და მისი „ამბავნი ქართლისანი“. 1757 წელს, ორბელიანის ცნობით, სომხით-საბარათიანო პრაქტიკულად სრულად გაუკაცრიელდა, ხოლო აქ მცხოვრები მოსახლეობა შიდა ქართლში, ქსნისა და არაგვის საერისთავოებში და კახეთში გადასახლდა (ორბელიანი 1913, 238). 1772 წელს საქართველოში მყოფი გიულდენშტედტი აღნიშნავდა, რომ ახტალა ლეკთა ხშირი თავდასხმების გამო გაუკაცრიელდა, ხოლო იქ მცხოვრები ქართველები და სომხები 10 წლის წინ ბორჩალუსა და კახეთში გადასახლდნენ (გიულდენშტედტი 1962, 239).

1790-იან წლებში დღევანდელი ქვემო ქართლის უდიდესი ნაწილი ნასოფლარებით იყო დაფარული, მკვიდრი მოსახლეობა კი პრაქტიკულად აღარსად იყო დარჩენილი. ასე მაგალითად, იოანე ბაგრატიონი თრიალეთში 85 სოფელს ასახელებდა, თუმცა მოსახლეობა არცერთგან აღარ ჩანდა (ბაგრატიონი 1986, 48–49). იგივე ბედი გაიზიარეს: ბალიჭის, ბოლნისის, გომარეთისა და ზურტაკეტის, ზირბითის, ზის, კაზრეთის, კიანეთის, ნადარბაზევის, არგისის, ფინეზაურის, ქვეშის, ჭივჭავისა და ხოჟორნის ხეობებმა და იქ მდებარე 300-ზე მეტმა სოფელმა (იქვე, 47–58). საუკუნის ბოლოსათვის ბოგვის ხევისა და მდ. მაშავერაზე მხოლოდ თითო-თითო დასახლებული პუნქტი შემორჩა. ქრისტიანული მოსახლეობა მდ. შულავრის ხეობაშიც აღარ დარჩენილა. „ქართლ-კახეთის აღწერაში“ მოცემული დეპოზულაციის არეალი დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით სრულად

მოიცავდა დმანისისა და წალკის მუნიციპალიტეტებს. ასევე ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტების უდიდეს ნაწილსა და მარნეულის დასავლეთს. მოსახლეობისაგან პრაქტიკულად მთლიანად დაიცალა ქვემო ქართლის ჩრდილოეთი, დასავლეთი და შუა ნაწილი. აქ XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე ძირითადად ქართული (ჩრდილოეთი, დასავლეთი) და შერეული (შუა ნაწილი) მოსახლეობა ცხოვრობდა. გაუკაცრიელებას მხოლოდ თბილისის გარშემო მდებარე რამდენიმე სოფელი გადაურჩა (იქვე, 46–47).

ამავდროულად, 1790-იანი წლებისთვის ქართლ-კახეთის სამეფოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი, სადაც შერეული ქრისტიანული (უპირატესად სომხური) და თურქმანული მოსახლეობა ცხოვრობდა, სრული დეპოპულაციის ზღვარზე იდგა. არფაჩის (შორაგელი), ლორე-ბამბაკის, ტაშირის, ყაიყულისა და ჭოჭკანის ხეობებიდან ზოგიერთში აღარავინ ცხოვრობდა, ხოლო ზოგან მეტად მცირერიცხოვანი მოსახლეობა შემორჩა. ეს ტერიტორია დღეს სომხეთის რესპუბლიკის შემადგენლობაშია მოქცეული და მისი ხელახალი დასახლება XIX–XX საუკუნეებში მოხდა (იხ. რუკა 2).

თურქმანული ტომები აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის შუა ხანებიდან 1801 წლამდე

„ლეკიანობამ“ მნიშვნელოვნად დააზარალა ქართლის თურქმანული მოსახლეობა. სეხნია ჩხეიძის ცნობით, 1734 წელს ლეკებს ელები დაურბევიათ (ჩხეიძე 1913, 45). თურქული მოდგმის ტომებზე ლეკების თავდასხმები პაპუნა ორბელიანმაც აღწერა. ერთ-ერთი ასეთი მარბიელი ლაშქრობის დროს მათ დემურჩი-ჰასანლუს ობებს, ბაიდარსა და ბორჩალუს შეუტყვის. ბაიდარში დამარცხების შემდეგ ბორჩალუსში გადაინაცვლეს და დაარბიეს, ხოლო ადგილობრივმა ელებმა აღჯაყალის ციხეს შეაფარეს თავი (ორბელიანი 1913, 226–227). ხშირი თავდასხმებისა და გაჩანაგების მიუხედავად, თრიალეთისა და სომხით-საბარათიანოსაგან განსხვავებით, მხარეებს, სადაც თურქმანული ტომები ცხოვრობდნენ, დეპოპულაცია მაინც არ განუცდიათ.

1770-იან წლებში იოჰან გიულდენშტედტი ბორჩალუსში მცხოვრები 2,000 ოჯახის შესახებ წერდა და ჩამოთვლიდა ამ მხარის სოფლებს, რომელთა ნაწილი ნადირ შაჰის დროს აშენდა, ხოლო ნაწილში მოსახლეობამ სხვა მხარეებიდან მოიყარა თავი. გერმანელი მოგზაურის ცნობით, ერთ-ერთი ასეთი სოფელი იყო სადახლო, ის 1771 წელს აღჯაყალიდან გადმოსახლებულმა 40 თათრულმა და 20 სომხურმა კომლმა დააარსა (გიულდენშტედტი 1962, 243). ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ მხარედ გერმანელი მოგზაური ყაზახს ასახელებდა. აქ

მისი ცნობით, 6,000 კომლი ცხოვრობდა; მათგან ორ მესამედს თურქული, ხოლო ერთი მესამედს სომხური წარმოშობა ჰქონდა (იქვე, 241). დღეს ისტორიული ყაზახი საქართველოს სიახლოვეს, აზერბაიჯანსა და სომხეთში მდებარეობს. 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხა ნაკლოვანებათა მიუხედავად ქართლ-კახეთის თურქმანების რაოდენობის შესახებ დაახლოებითი წარმოდგენის შექმნის საშუალებას იძლევა. ზემოხსენებული დოკუმენტის მიხედვით, ბორჩალუსა და ბამბაკის მოსახლეობა 2,560 კომლით განისაზღვრებოდა, ხოლო დემურჩი-ჰასანლუსა და ბაიდარში 1,000 და 200 კომლი ცხოვრობდა. ბორჩალუსა და ბამბაკში თურქმანულ ტომებთან ერთად მცირე ოდენობით სომხებიც ბინადრობდნენ. 1770 წლის ნუსხის მიხედვით, კახეთში 1,000 კომლი თათარი ცხოვრობდა, რაც ძლიერ გადაჭარბებული შეფასება უნდა იყოს. ამავდროულად, ყაზახსა და შამშადილუში 3,500 და 2,200 თურქმანული წარმოშობის კომლია დასახელებული (გამრეკელი და ცქიტიშვილი 1973, 153–154). ერეკლე II-ის ბრძანებით შედგენილი ეს დემოგრაფიული ნუსხა, მეტ-ნაკლებად ეთანხმება გიულდენშტედტის ცნობებს. ორივე წყაროს მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფოში თურქული წარმოშობის მოსახლეობით ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ მხარე ყაზახი იყო.

განსხვავებულ ინფორმაციას შეიცავს რუსული ადმინისტრაციის მიერ ქართლ-კახეთის ანექსიიდან სამი წლის შემდეგ ჩატარებული კამერალური აღწერა. ამ დოკუმენტის მიხედვით, სამეფო რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულად იყო დაყოფილი. ქვემო ქართლი და მიმდებარე ტერიტორიები ერთ მაზრასა და სამ თათრულ დისტანციაში მოექცა. ლორეს მაზრაში 3,908 მცხოვრები აღიწერა: ბორჩალოს დისტანციაში – 17,759, შამშადილუში – 21,714, ყაზახში კი მხოლოდ 10,161 მოსახლე დაფიქსირდა (Кавказский календарь 1850, 82). აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩატარებული აღწერები ბევრ უზუსტობას შეიცავს და კრიტიკულ განხილვას საჭიროებს. კერძოდ, 1804 წლის კამერალურ აღწერაში ყაზახის დისტანციაში მამრობითი სქესის მოსახლეობა მდებარეობის რამდენჯერმე აღემატებოდა, რაც აღწერის ხარვეზიანობაზე მიუთითებს. 1842 წლის კამერალური აღწერის მიხედვით, სამ თათრულ დისტანციაში 92,014 ადამიანი ცხოვრობდა (იქვე, 82). მცირერიცხოვანი თურქული მოდემის მოსახლეობა ზემოხსენებული დისტანციების მიღმაც ბინადრობდა. 1855 წლის „კავკასიური კალენდრის“ მიხედვით, ქალაქ თბილისში 96 კომლი თათარი სახლობდა, ხოლო თბილისის მაზრაში საქართველოს აზერბაიჯანელთა წინაპრების რაოდენობა 3,460 კომლით განისაზღვრებოდა (Кавказский календарь 1854, 277). ამ დროს თბილისის მაზრა დღევან-

დელ ქვემო ქართლს სრულად მოიცავდა. „კავკასიურ კალენდარზე“ დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნის შუა ხანებისთვის საქართველოს ტერიტორიაზე 3,919 თათრულ კომლს უნდა ეცხოვრა. საუკუნის მეორე ნახევარში იმპერიის ადმინისტრაციამ ქვემო ქართლი ორ: ბორჩალოსა და თბილისის მაზრად დაყო. 1886 წლის აღწერით ბორჩალოს მაზრაში 4,928 (Свод статистических данных... 1893, 43), ხოლო თბილისის მაზრაში 929 თათრული კომლი ცხოვრობდა.

ზემოთმოყვანილი სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემი საშუალებას გვაძლევს XVIII საუკუნის ბოლოსათვის ქართლ-კახეთის თურქმანული მოსახლეობა 50,000–55,000-ით შევაფასოთ. მათგან დაახლოებით 20,000-მდე ადამიანი დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე, ქართლსა და კახეთში ცხოვრობდა (ჯაოშვილი 1984, 78). სხვები კი სამეფოს იმ ნაწილებში იყვნენ განსახლებული, რომლებიც ახლა აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების შემადგენლობაში შედის, აქ, უპირველეს ყოვლისა, ყაზახი და შამშადილუ იგულისხმება. ამავდროულად, მნიშვნელოვანია ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში თურქმანების ხვედრითი წილის განსაზღვრა. 1800 წლისთვის ქართლ-კახეთის სამეფოში მცხოვრები 250,000–270,000 ადამიანიდან დაახლოებით 20% თურქული მოდგმის ტომებს მიეკუთვნებოდა. თუკი აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა თანამედროვე საზღვრებში დაითვლება, თურქმანების ხვედრითი წილი 9–10%-მდე შემცირდება.

ინტერესს იმსახურებს აღმოსავლეთ საქართველოს თურქმანული მოსახლეობის კონფესიური კუთვნილების საკითხიც. XVII–XVIII საუკუნეების წყაროები ამ თემასთან დაკავშირებით სრულყოფილ ინფორმაციას არ შეიცავს. მათგან განსხვავებით, XIX საუკუნის დოკუმენტებში მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული. 1886 წლის აღწერის მიხედვით, ბორჩალოს მაზრაში მცხოვრები 33,191 მუსლიმიდან 16,551 სუნიტი, ხოლო 16,640 შიიტი იყო (Свод статистических данных... 1893, 43). მაზრის ორ უბანში, ბორჩალოსა და თრიალეთში სუნიტები შიიტებზე მეტი იყვნენ, როცა ეკატერინეფელდისა²⁴ და ლორეს უბნებში შიიტური მოსახლეობა ჭარბობდა. თბილისისა და სიღნაღის მაზრის მუსლიმურ მოსახლეობაში სუნიტები დომინირებდნენ, თელავის მაზრაში კი ყველა მუსლიმი სუნიტი იყო. განსხვავებული მდგომარეობა იყო ქალაქ თბილისში, სადაც 1,024 შიიტი და მხოლოდ 306 სუნიტი ცხოვრობდა (იქვე, 100). XIX საუკუნის ბოლოს საქართველოს აზერბაიჯანელთა 58% სუნიტი, ხოლო 42% შიიტი იყო. დაახლოებით ასეთივე თანაფარდობა უნდა ყოფილიყო ქართლ-კახეთის თურქმანულ მოსახლეობაში სამეფოს არსებობის უკანასკნელ წლებში.

24 ქალაქ ბოლნისის სახელწოდება 1818–1921 წლებში.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თურქული წარმოშობის მოსახლეობა ძირითადად იმავე გეოგრაფიულ არეალში რჩებოდა, სადაც საუკუნის დასაწყისში ბინადრობდა. ამ მხრივ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს იოჰან გიულდენშტედტის 1772 წლის 24 ივნისით დათარიღებული წერილი. გერმანელი მეცნიერის საქართველოში მოგზაურობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ქვეყნის სასარგებლო წიაღისეულისა და მადნების შესახებ ინფორმაციის მოპოვება იყო. ამ მიზნით გიულდენშტედტმა ბოლნისის ხეობაში მდებარე ნასოფლარი დამბლუტი მონახულა. იგი აღნიშნავდა, რომ ამ ადგილს მეტად არახელსაყრელი მდებარეობა ჰქონდა, რადგან 50 ვერსის არეალში ყველაფერი გაუდაბურებული იყო. დასავლეთით, ერთი დღის სავალზე, ოსმალთა ციხესიმაგრეები მდებარეობდა, ხოლო აღმოსავლეთით უახლოეს დასახლებულ პუნქტებამდე, სადაც ბორჩალუსა და ბაიდარის თათრები ცხოვრობდნენ, ნასოფლარსა და მის შემოგარენს 50 ვერსი²⁵ აშორებდა (გიულდენშტედტი 1964, 147). თრიალეთი და სომხით-საბარათიანო ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ წლებამდე თითქმის გაუკაცრიელებული დარჩა. ამ მხარეების ხელახლა დასახლება XVIII საუკუნის უკანასკნელ წლებში დაიწყო და XIX საუკუნეში ინტენსიური ხასიათი შეიძინა.

XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთის ელებს სამეფოს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდათ. აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები თურქმანული მოსახლეობა სერიოზულ სამხედრო ძალას წარმოადგენდა და სამეფო კარი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მათ შენარჩუნებას. ერეკლე II ცდილობდა თურქული მოდგმის ხალხის საქართველოდან გასვლა აღეკვეთა. როდესაც ასეთი შემთხვევები მაინც ხდებოდა, მეფე ყველა ღონეს მიმართავდა გაქცეულთა უკან დასაბრუნებლად. ასე მაგალითად, 1755 წელს თურქმანულმა ტომებმა მოულოდნელად დატოვეს ქვეყანა და ერევნის სახანოში გადავიდნენ, ერეკლე II-მ შეკრიბა ლაშქარი, წამოეწია ელებს და აიძულა საქართველოში დაბრუნებულიყვნენ (ხერხეულიძე 1989, 57). XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლ-კახეთის სამეფოში სულ 23,000 მოლაშქრის გამოყვანა იყო შესაძლებელი, აქედან 18,000 ქართველი და სომეხი, ხოლო 5,000 თათარი უნდა ყოფილიყო (გამრეკელი და ცქიტიშვილი 1973, 154–155).

ზოგიერთ შემთხვევაში მეზობელი სახანოების მმართველები ქართველ მეფეებთან დაპირისპირებისას ქართლ-კახეთში მკვიდრი ელების, მათი სულთნებისა და ხანების გადაბირებასა და თავის სასარგებლოდ გამოყენებას ახერხებდნენ. თეიმურაზ II და ერეკლე II

25 ძველი რუსული სიგრძის საზომი ერთეული. 1 ვერსი უდრის 1.066 კმ-ს.

ცდილობდნენ, არ დაეშვათ ასეთი პრეცედენტები და საამისოდ სხვადასხვა ღონისძიებას მიმართავდნენ. მათ შორის იყო სადამსჯელო ლაშქრობა, ასევე მოწინააღმდეგის მხარეს გადასულთათვის სულთნობისა და ხანობის ჩამორთმევა. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი არასაიმედო პირთა აყრა და მათი თბილისში „დაყენება“ იყო. ქართლ-კახეთის ხელისუფლება ძირითადად წარმატებით უმკლავდებოდა ასეთ შემთხვევებს. სამეფოს არსებობის ბოლო წლებამდე საქართველოში მცხოვრები ელები ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სამხედრო ძალად რჩებოდნენ.

დასკვნა

გვიანი შუა საუკუნეები უმნიშვნელოვანესი პერიოდია საქართველოს აზერბაიჯანელთა ისტორიაში. XV–XVI საუკუნეები თურქმანული ტომების საქართველოში შემოსვლის პირველი და მეტწილად წარუმატებელი მცდელობებით აღინიშნა. გარდამტეხი მომენტი 1600-იან წლებში დადგა, შაჰმა ქვემო ქართლში თურქული მოდგმის ხალხი შემოიყვანა და ბორჩალუს მხარე დააარსა. მომდევნო ორი საუკუნის განმავლობაში ზოგიერთ შემთხვევაში ირანელთა მცდელობის, ხოლო სხვა დროს ქართველ მეფეთა ინიციატივით ქართლსა და კახეთში თურქმანული ტომების რაოდენობა და მათი განსახლების არეალი გაიზარდა. ქვეყანაში ახალი მოსახლეობის დამკვიდრება სხვადასხვა ეტაპზე ხასიათდებოდა როგორც სისხლისმღვრელი დაპირისპირებით, ისე მშვიდობიანი თანაარსებობით. XVIII საუკუნის შუაში საქართველოში შემოსული თურქული მოდგმის ხალხის ძირითადი საცხოვრებელი არეალი გამოიკვეთა.

ამავდროულად, XVII–XVIII საუკუნეებში სამეფო კარმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ახალმოსულთა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციისათვის და თურქმანული ტომებით დასახლებულ მხარეებზე მტკიცე პოლიტიკური კონტროლის დასამყარებლად. ამ მიმართულებით განსაკუთრებულ წარმატებას ერეკლე II-მ მიაღწია. ქართლ-კახეთის მეფემ თურქმანულ მოსახლეობაზე სრული კონტროლი აღადგინა და ისინი სამეფოს სამსახურში ჩააყენა.

აღმოსავლეთ საქართველოში დამკვიდრებულ ოღუზ თურქებს სხვადასხვა სახელით იცნობდნენ, მათ უწოდებდნენ: თათრებს, თურქმანებს, ელებს, ასევე კონკრეტული ტომების საკუთარ სახელებს. XX საუკუნეში საბოლოოდ დამკვიდრდა ეთნონიმი აზერბაიჯანელი, რომლის გარშემო ერთიანდება სამხრეთ კავკასიაში მცხოვრები თურქული წარმოშობის მოსახლეობა. ზოგიერთ შემთხვევაში ამ სახელის ქვეშ გაერთიანებული მრავალფეროვანი მოსახლეობის წარსული და

ფორმირების პროცესი ნაკლებადაა დაკავშირებული ერთმანეთთან და კონკრეტული ჯგუფები მათთვის დამახასიათებელ თავისებურებებს ავლენენ, ამ მხრივ გამონაკლისი არც ჩვენი თანამოქალაქე აზერბაიჯანელები არიან. დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ XVII–XVIII საუკუნეებში საქართველოში განვითარებული პოლიტიკური და ეთნო-დემოგრაფიული პროცესების შედეგად ქართლ-კახეთის არაერთმა მხარემ სრული ან ნაწილობრივი დეპოპულაცია განიცადა, რამაც ხელსაყრელი პირობები შექმნა თურქული მოდგმის მოსახლეობის საცხოვრებელი არეალის შემდგომი გაფართოებისათვის. XX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს აზერბაიჯანელთა განსახლების გეოგრაფიული არეალი საბოლოოდ ჩამოყალიბდა და მან დღეს არსებული სახე მიიღო.

დამოწმებანი

- ბაგრატიონი, იოანე. 1986. *ქართლ-კახეთის აღწერა*. თბილისი: მეცნიერება.
- ბატონიშვილი, ვახუშტი. 2012. საქართველოს სამეფოს აღწერა: ნაწილი 2. წიგნში: *ქართლის ცხოვრება*, ტ. 5. თბილისი: ახალი ივერონი.
- ბოშიშვილი, ალექსანდრე. 2015. *ქართლის სამეფოს სამხრეთ საზღვარი და სამხრეთი პროვინციები: XV–XVIII სს*. თბილისი: მერიდიანი.
- გამრეკელი, ვახტანგ და ზურაბ ცქიტიშვილი. 1973. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა. *მაცნე* №1, 144–155.
- გიულდენშტედტი, იოჰან. 1962. *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, ტ. 1, რედ. გ. გელაშვილი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- გიულდენშტედტი, იოჰან. 1964. *გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში*, ტ. 2, რედ. გ. გელაშვილი. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- გორგიჯანიძე, ფარსადან. 1926. *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია*, გამომც. ს. კაკაბაძე. ტფილისი: პოლიგრაფტრესტის მე-3 სტამბა.
- დავრიჟეცი, არაქელ. 1974. *არაქელ დავრიჟეცის ცნობები საქართველოზე*. თბილისი: მეცნიერება.
- დოლიძე, ისიდორე, გამომც. 1972. *ქართული სამართლის ძეგლები*, ტ. 4: *სასამართლო განჩინებანი (XVI–XVIII სს)*. თბილისი: მეცნიერება.
- ეგნატაშვილი, ბერი. 1989. ახალი ქართლის ცხოვრება. წიგნში: *ქართული მწერლობა*, ტ. 6, რედ. რ. ბარამიძე, 681–820. თბილისი: ნაკადული.
- ვახუშტი. 1941. *აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს*

- გეოგრაფია), რედ.-ები ნ. ბერძენიშვილი და თ.ლომოური. თბილისი: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- თაყაიშვილი, ექვთიმე, რედ. 1907. აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი მეფის ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილის და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს. წიგნში: *მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში*, 1–296. ტფილისი: ძმობა.
- , რედ. 1909. *საქართველოს სიძველენი*, ტ. 2. ტფილისი: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება.
- ლორთქიფანიძე, იასონ. 1938. *ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში: მოსახლეობისა და მფლობელობის სტატისტიკა*. თბილისი: „ტექნიკა და შრომა“-ს სტამბა.
- მაისურაძე, გურამ. 1999. *საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV–XVIII სს.)*. თბილისი: მეცნიერება.
- ორბელიანი, პაპუნა. 1913. ამბავნი ქართლისანი. წიგნში: *საქართველოს ცხოვრება*, ნაწილი 2: *ახალი მოთხრობა, 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე*, გამომც. ზ. ჭიჭინაძე, 53–240. თბილისი: სორაპანი.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2016. *მოსახლეობის 2014 წლის აღწერის ძირითადი შედეგები*.
http://census.ge/files/results/Census_release_GEO.pdf (30.06.2020).
- უმიკაშვილი, პეტრე, რედ. 1886. *დასტურლამალი*. ტფილისი: ლ. გ. კრამარენკოს სტამბა.
- უცნობი მემატიანე. 1942. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. წიგნში: *ქართლის ცხოვრება*, რედ. ს. ყაუხჩიშვილი, 200–235. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ჩხეიძე, სენნია. 1913. საქართველოს ცხოვრება სენნია ჩხეიძისა. წიგნში: *საქართველოს ცხოვრება*, ნაწილი 2: *ახალი მოთხრობა, 1469 წლიდგან, ვიდრე 1800 წლამდე*, გამომც. ზ. ჭიჭინაძე, 1–52. თბილისი: სორაპანი.
- ხერხეულიძე, ომან. 1989. *მეფობა ირაკლი მეორისა*. თბილისი: მეცნიერება.
- ჯავახიშვილი, ივანე. 1967. *ქართველი ერის ისტორია*, ტ. 4. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ჯაოშვილი, ვახტანგ. 1984. *საქართველოს მოსახლეობა XVIII–XX საუკუნეებში: დემოგრაფიულ-გეოგრაფიული გამოკვლევა*. თბილისი: მეცნიერება.
- ჯიქია, სერგი და ნოდარ შენგელია, რედ.-ები. 2009. *1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი*, წიგნი 2. თბილისი: ჰოროსი XXI.

Кавказский календарь на 1851 год, изданный от Канцелярии Наместника Кавказского. 1850. Тифлис: Типография Канцелярии наместника Кавказского.

Кавказский календарь на 1855 год, изданный от Канцелярии наместника кавказского. 1854. Тифлис: Типография Канцелярии наместника Кавказского.

Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г. издан по распоряжению Главного начальствующаго гражданской частию на Кавказе Закавказским статистическим комитетом. 1893. Тифлис: Тип. И. Мартиросянца.

Сумбатзаде, Алисойбат. 1990. *Азербайджанцы – этногенез и формирование народа*. Баку: ЭЛМ.

Giorgi Mechurchlishvili

Ilia State University

Turkoman Tribes in Late Medieval Eastern Georgia: Settlements, Demography and Political History

Keywords: *Late Middle Ages, Georgian Azerbaijanis, Turkoman tribes, Borchalu, Eastern Georgia*

Introduction

Recently, increased attention has been paid to the Georgian Azerbaijani community, including their history and culture. Azerbaijanis represent the largest ethnic minority in Georgia, and, according to the results of a general population census, in 2014, the Azerbaijani population exceeded 230,000 people, accounting for more than 6% of the country's population (National Statistics Office of Georgia 2016, 8). In the Late Middle Ages, the entry and establishment of Georgian Azerbaijani ancestors, the Turkoman tribes¹, in eastern Georgia was quite a prolonged and complex process. It was strongly related with political and ethno-demographic conditions in Georgia over two centuries, specifically, from the 16th century to the 18th century, as well as with the fundamental changes that the Transcaucasian political map underwent during this period.

In the 20th and 21st centuries, a group of Georgian and foreign scholars took a major step to investigate the past of Georgian Azerbaijanis; however, the history of Turkoman tribes from eastern Georgia still has yet to be properly studied. Certain aspects are beyond research, and several inaccuracies and uncertainties have created additional difficulties, all of which require a critical analysis.

This article focuses on the various stages of the Turkoman tribes' coming to Georgia in the Late Middle Ages, and the circumstances of the creation

1 General name of the Turkic tribes of Oghuz origin in the Late Middle Ages (*all the definitions in this article are written by the author*).

of the geographical area inhabited by them. The demographic history of the Turkoman tribes and various aspects of their everyday life have also been investigated. The article studied the forms of the dependence of the Turkoman tribes on Georgian political entities in the 17th and 18th centuries, as well as their role in the political and military history of the country.

For the investigation into the history of the ancestors of the Azerbaijanis of Georgia, the Turkoman tribes, in the Late Middle Ages, this article employed various materials. In studying the causes, stages, and circumstances of the entry of these tribes into Georgia, special importance was given to the study-analysis and critical discussion of primary sources.

Georgian historical texts of the 17th and 18th centuries were analyzed from a perspective that is relevant for this research. Georgian historians of this period were direct witnesses of the migration process of different Turkoman tribes in the kingdoms of Kartli and Kakheti. The data they provided often contains detailed information about the political events that preceded the establishment of the Turkomans in Georgia, describes the process of their entry, demarcates the area of settlement of newcomers, and reflects gradual changes. Moreover, Georgian sources provide important information about the lifestyle, customs and distinguishing features of the Turkomans.

At the same time, this article uses foreign sources from the 17th and 18th centuries, from historical works to travelers' records and letters. The sources given by the foreign authors in some cases contain unique information about the number, condition, localization and the history of Turkoman tribes settled in the eastern part of Georgia. In this article, their references are processed, critically discussed, and remarks are made.

Furthermore, alongside Georgian and foreign historical sources, together with travelers' records and letters, the article focuses on late medieval codes and documents. These type of primary sources provide valuable information about the property and legal status of the Turkomans. Further still, they give an idea of the policies and attitudes of the Royal Court towards the new settlers.

While researching the history of the Turkoman population of eastern Georgia, various statistical references and censuses were examined and critically discussed. Although to a certain extent defective and inaccurate, these documents allow us to determine the number of Georgian Azerbaijanis, together with the geographical area of settlement at each particular historical stage. Initially, the article processes and discusses the Georgian and Ottoman censuses and statistical lists of the 18th century, information which is important in the study of the history of the Turkoman tribes. Moreover, the censuses are a valuable source of information about the ethno-demographic past of various regions of eastern Georgia.

To clarify the number of ancestors of Georgian Azerbaijanis at the turn of the 18th and 19th centuries, as well as to reconstruct the area of settlement and denominational affiliation as accurately as possible, this article uses censuses conducted by the Russian Imperial Administration in the 19th century. Some of them contain important inaccuracies; however, the article gives specific instructions with regards to them, and considering this factor, the reliability of statistical reference is discussed. At the same time, the article provides the studies of Georgian historians of the 20th century in this direction, which have been verified and assessments made.

After analyzing and processing the above-mentioned documents, the article provides noteworthy information on the ethno-demographic history of eastern Georgia in the 18th century, and the radical changes that took place during this period. The number of Turkoman population during different periods, as well as their proportion, is determined within the Kingdom of Kartli-Kakheti and within the borders of today's Georgia.

An important aspect is the Turkoman tribes' past and their role in the military history of Georgia in the 18th century. This issue is analyzed and discussed in this article, several sources have been verified, and conclusions have been made. Further, the article focuses on the peculiarities of the policy pursued by the Kartli-Kakheti authorities in the newly acquired Turkoman territories and the process of expanding the Georgian bureaucratic apparatus in the second half of the 18th century.

The article highlights the importance of the works of authors from the 20th and 21st centuries, such as their processing and discussion. The knowledge accumulated in the last century about the past of the Azerbaijanis of Georgia, both in Georgia and abroad, has been considered and shared. At the same time, the shortcomings, certain anachronisms, and inaccuracies of the 20th century researchers have been identified and specific remarks have been made. As a result of finding, acquiring and analyzing multifaceted primary and secondary sources, the article offers new knowledge about various aspects of the history of the Turkoman tribes in Georgia in the Late Middle Ages.

Seljuks in Eastern Georgia (11th and 12th centuries)

In the 11th century, the Seljuks of Oghuz² originating from the Central Asia region to the west, conquered Iran, Mesopotamia, Syria, and Palestine, and after defeating the Byzantines, they paved their way to Asia Minor. In the

2 The name of one of the groups of the Turkic language family. This group includes Azerbaijanis, Anatolian and Balkan Turks, as well as some other Turkic peoples.

second half of the same century, they invaded the Southern Caucasus and became neighbors of Georgia. Soon, the invasion of nomadic tribes, known as the “Great Turkish Troubles”³ began. Attempts by the Royal Court to stop their attacks failed. In practice, the nomadic tribes spent the whole year on Georgian territory, which caused the country to become overrun and led to the cessation of agriculture and the annihilation of the population. During the winter, the Turkic tribes would move along the banks of the rivers Iori and Mtkvari (Unknown Chronicler 1942, 206). The defeat of the Seljuks and the expulsion of the nomadic Turkic tribes from the country are linked with the name of David IV. At that moment, the kingdom’s southern and eastern borders shifted away from Georgian lands, there were constant wars between political units formed after the collapse of the Seljuk state and Georgia throughout the next century. David the Builder used Kipchaks to fight the Seljuks. Kipchaks were Turkic, though not Oghuz people by origin. Some of them left Georgia, while others assimilated into the Georgian population.

In the 11th and 12th centuries, the Oghuz Turks, who invaded Adurbadagan⁴, Arran⁵, and Asia Minor, began to settle in the occupied territories. Gradually, the ethnic and linguistic composition of those regions changed. In the 20th century, this process ended with the formation of the modern Azerbaijani and Turkish nations.

Turkoman tribes near the borders of Eastern Georgia (15th and 16th centuries)

The next appearance of the tribes of Turkic origin in the acentric parts of eastern Georgia relates to the turn of the 14th and 15th centuries, in particular, the invasion of Tamerlane and the period after it. From the 1400s onwards, the kingdom of Georgia was involved in a long confrontation with the Turkomans and the powerful states created by them. Two Georgian kings, George VII and Constantine I, were killed in battle with them. It is very likely that the Turkomans occupied Lore at that time, from where they were doing great damage to the neighboring Georgian regions. The Muslims kept the fortress for a long time, but in 1431, Alexander I liberated Lore (Javakhishvili 1967, 30–32). The victory gained by the King was not the last, as the confrontation continued

3 Continuous incursions of the Turk-Seljuks into Georgia in the 1080s.

4 The region in the Ancient and Middle Ages mainly included the northern part of the modern Islamic Republic of Iran.

5 The region in the eastern Transcaucasia, nowadays part of the Republic of Azerbaijan.

into the following decade. In 1440, the Sultan of Kara Koyunlu⁶, Jehan-Shah, invaded Georgia, resulting in heavy casualties and havoc (Maisuradze 1999, 103–104). In the 1460s and 70s, a new adversary Aq Qoyunlu⁷ appeared in the country. Lore Fortress and the Somkhiti Valley fell into the hands of this Turkoman State (Javakhishvili 1967, 109). These territories were retaken by the Georgians in 1478 after the death of Uzun-Hasan, the ruler of Aq Qoyunlu. In the 1480s, his heir Yaqub sought to restore influence in Georgia, and military operations on the southern border of Kartli resumed. At the turn of the 15th and 16th centuries, the Aghjakala Fortress, located in Kvemo Kartli, near the Debeda river, became especially important.

The first and mostly unsuccessful attempts to settle Turkoman tribes in Georgia date back to the 15th and 16th centuries. Vakhushti Bagrationi noted that after one campaign, Constantine II expelled the Elis⁸ from the southern border of Kartli (Batonishvili 2012, 9). The scant population of Turkic lineage is also mentioned in the decree issued by Luarsab I in 1537–1538. This document concerns the division of Iotam and Orbel Baratashvili's dominions. Among the many settlements listed here, a small number of Tatars⁹ are mentioned (Dolidze 1973, 14–33). The people of Turkic origin mentioned in the decree of the King of Kartli belonged to the dominion of Iotam Baratashvili and seemed to be fully integrated into the Georgian feudal system. The Georgian and Ottoman censuses of the 18th century no longer show a Muslim population in these areas. Permanent invasions of Turkoman tribes in the 15th and 16th centuries were reflected in the toponymy of Kvemo Kartli.

At the turn of the century, significant changes took place both in Georgia and on its southern borders. United Georgia ceased to exist and was replaced by the three kingdoms and one principality. At the same time, the Ottoman Empire became the neighbor of Georgia from the south-west. From the beginning of the 16th century, another powerful state – Safavid Iran, founded by Shia Qizilbashes¹⁰ bordered Georgia. Georgian political entities between the two powerful empires had to fight for self-preservation and seek compromises. In 1555, the Iran-Ottoman War ended with the Treaty of Amasya and the establishment of the borders between the two states. According to the terms of the peace, Georgia was divided into two parts: Kartli, Kakheti and east-

6 The Turkoman state in the Western Asia. It was conquered by Aq Qoyunlu in the late 15th century.

7 The Turkoman state in the Western Asia. It was destroyed by the Qizilbashes in the beginning of the 16th century.

8 Turkic origin nomadic, shepherd population.

9 Here: Turkoman population.

10 The Union of Shiite Turkoman tribes.

ern Samtskhe fell under the influence of Iran, while Imereti, Odishi, Guria, and western Samtskhe fell to the Ottomans. The kings of Kartli, Luarsab I and Svimon I, failed to adapt to the reality and continued to fight. In 1578, a new war broke out between Iran and the Ottomans. Soon, the Ottomans had occupied much of the Southern Caucasus. Kartli came under Ottoman occupation. Svimon I waged a long liberating war against the Ottomans. When the Iran-Ottoman War ended in 1590, Iran had to cede important territories, including eastern Georgia. In 1599, at the Battle of Nakhiduri, the Ottomans captured Svimon I. The king died a few years later in Istanbul. The long war significantly affected Kartli, reduced its population, and weakened the country economically (Egnatashvili 1989, 753).

Despite the dismantling of the Kingdom of Georgia in the 15th and 16th centuries and the neighboring powerful Muslim States, the ethnic composition of the southern frontier regions of eastern Georgia remained practically unchanged. At the same time, in the 16th century, in the direct vicinity of the Kingdoms of Kartli and Kakheti, the Qizilbash tribes settled, and the Shamshadilu and Qazakh khanates under Iranian rule were established (Boshishvili 2015, 85).

Khanate of Borchalu (17th and early 18th centuries)

At the beginning of the 17th century, the situation changed dramatically. In 1603, the Shah of Iran launched a new war against the Ottomans, one of the theatres of war being the Southern Caucasus. The kingdoms of Kartli and Kakheti became involved in the war on the side of the Iranians. In 1604, the united Iranian-Georgian army captured Erivan. After the victory, the Shah forced the King of Kartli to cede the fortress of Lore and Debeda Gorge. The transfer of this territory to the Iranians was an important military and political event. From then on, the southern border of Kartli was violated, and the control of Kartli by Abbas I was greatly facilitated. In order to gain power in the occupied territory, the Shah settled the Borchalu tribe there (Vakhushti 1941, 34). Borchalu was a Turkoman tribe, and its entry into Kvemo Kartli in the early 17th century laid the foundation for the establishment of a strong Turkic element in Georgia.

A small khanate was established on the territory occupied by the Borchalu tribe, which formally existed until the end of the 18th century. The newly built khanate occupied the area from the east bank of the River Debeda to the River Khrami (Vakhushti 1941, 35). In the 17th and 18th centuries, the borders of Borchalu were not changed, and it still included the area between the riv-

ers Debeda and Khrami (Guldenstadt 1962, 75). Thus, the interpretation of Alisoibat Sumbatzade is wrong, as he equated restoration of control over Borchalu and Qazakh by Teimuraz II in the 18th century with the entry of Bolnisi and Dmanisi districts into Georgia (Сумбатзаде 1990, 246). The above-mentioned districts remained a part of the Kingdom of Kartli during the 17th and 18th centuries and were included in the Somkhit-Sabaratiano. According to today's administrative division, the Borchalu khanate included the south-eastern part of the Marneuli Municipality and a small border area between Armenia and Azerbaijan, about 250–300 sq.km. The dissemination of the geographical name of Borchalu as a large part of Kvemo Kartli relates to the administrative division of the Russian Empire in the 19th century. Its use is anachronistic in the context of the developments that took place in the 17th and 18th centuries.

Turkoman tribes in the Kingdom of Kartli (17th and early 18th centuries)

Political developments in Georgia during the early 17th century had a significant impact on the ethno-demographic and socio-economic situation in eastern Georgia. After the invasions of Shah Abbas I, the anti-Iranian uprisings, and internal feudal conflicts in the 1610s and 20s, a new status quo was established between Kartli and Iran in 1632, which lasted for 90 years. Despite the great political and military dependence on Safavid Iran, the social and economic structure established in Georgia over the centuries has been preserved. It was during this period that new Turkoman tribes appeared in Georgia. The tribes that came into the kingdom obeyed the royal authorities, who tried to involve them in the existing political, social and economic system.

Sometime after the settlement of the Borchalu tribe in Georgia, the Turkoman tribes occupied the western bank of the River Debeda, which was called Alaghaji. Meanwhile, the Elis of the Kulari tribe settled in the Shulaveri Valley (Vakhushti 1941, 34). It is noteworthy that in the 1720s, Kulari was one of the largest villages in the region (Jikia and Shengelia 2009, 207–209). In the gorge of the River Shulaveri, the Kularis and their villages are mentioned at the end of the 18th century (Bagrationi 1986, 56). The name of the Shah of Iran, Safi, is related to the settlement of the Turkomans on both banks of the River Khrami from the village Nakhiduri to Najbadini. This area, formerly called the Tskaltashua, became known as Baidari in the 17th and 18th centuries (Vakhushti 1941, 45). Equally, Turkic tribes also settled near the confluence of the rivers Algeti and Mtkvari, as far as the mountain of Iaghluja, and in the Karaia Valley on the left bank of the Mtkvari river, where a large number of Demurchi-

Hasanlu tribes settled (Vakhushti 1941, 48–50). The 17th century Georgian historian Parsadan Gorgijanidze mentioned 5,000 Tatar households under the administration of the King Rostom of Kartli (Gorgijanidze 1926, 52). At the beginning of the 18th century, the Turkomans began to expand westward, in the direction of the Mashavera river valley. This area was densely populated by the Christians; hence, the nomadic tribes there were very few.

During the reign of Vakhtang VI, important information about the situation in Kvemo Kartli – Turkoman tribes' settlement area, number, way of life, and the forms of dependence on the Royal Court, were given in: "Description of the Kingdom of Georgia", "Dasturlamali"¹¹ and the census of the Avant-garde Banner (metsinave sadrosho)¹² held in 1721. Further, the "Great defter of Tbilisi Vilayet", compiled in 1728 during the Ottoman occupation, also contains valuable information. According to Vakhushti Bagrationi, the nomadic Elis in Kvemo Kartli, who were united in Obas¹³, lived mainly in the eastern lowland of the Avant-garde Banner (metsinave sadrosho). Bagrationi names 194 Obas in Kvemo Kartli (Vakhushti 1941, 190–197). Most of these, 120, belonged to the Demurchi-Hasanlu tribe and inhabited the Karaia Valley. The main area of the settlement of Turkomans during this period was downstream of the rivers Mtkvari, Debeda, Khrami, and Algeti. To the north, the nomadic Elis reached Lilo and Lochini. There, the Tatar villages were mentioned until the end of the 18th century (Bagrationi 1986, 29). The Turkomans did not live in Trialeti at all in the 17th and 18th centuries, while in the valley of the River Mashavera, there were only two Obas – Nasiblu and Aghbagalu. Aghbablu was mentioned in the census of 1721, a small number of Tatars under Georgian feudal landowners (Takaishvili 1907, 175–176). As for Nasiblu, it is recorded in the Ottoman census conducted seven years later in Sabaratiano Nahiye¹⁴ (Jikia and Shengelia 2009, 120–121). Turkoman tribes either did not live in other valleys of the Somkhit-Sabaratiano at all, or were very sparsely represented.

In "Dasturlamali", regarding the inhabitants of Kvemo Kartli, Turkic tribes were given separate chapters, where they were divided into different groups. The Oymaqs¹⁵ and Tabun¹⁶ groups, together with the number of households

11 The Book of Law of Vakhtang VI.

12 Military-administrative unit in feudal Georgia. The division of the territories of the state into banners corresponded to the names of the tactical units of the military formation. The Avant-garde Banner (metsinave sadrosho) in the Kingdom of Kartli included Kvemo Kartli and part of present-day northern Armenia.

13 Units of nomadic Turkoman tribes, groups of Elis united by a certain characteristic.

14 Administrative-territorial unit in the Ottoman Empire.

15 Part of Eli Tabuns, tribal-patrimonial union.

16 Here: group of Elis.

and taxpayers, were listed. The Elis were censused by the high justiciar (*mdivanbegi*). In “*Dasturlamali*” other Elis were listed too, some of whom were better described. The Elis, who had temporarily moved from other regions to Kvemo Kartli, were mentioned there, among them the Elis from Kakheti and Palakazio. This practice continued until the end of the 18th century (Bagrationi 1986, 60). Since most Turkomans were nomads and breeders, they moved seasonally. According to Vakhushti Bagrationi, they spent winter in the Mtkvari lowlands, Karaia Valley and Gareji mountains, whilst in summer they moved to the mountains of Palakazio and Kaikuli (Vakhushti 1941, 51).

Most of the Turkic tribes living in Kartli and Kakheti were engaged in farming, in addition to cattle breeding. Thus, for example, the Elis who lived on the right bank of the Mtkvari were known for sericulture, growing rice, cotton and cereals (Vakhushti 1941, 48). The Demurchi-Hasanlu tribe which inhabited the Iori Plateau, also grew rice (Guldenstadt 1962, 245).

